საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გოჩა ცოფურაშვილი

აგრარული სექტორის ინტენსიური განვითარების როლი რეგიონული ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდაში

სადოქტორო პროგრამა - აგრარული ეკონომიკა

შიფრი - 0311

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2022 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა კოღუაშვილი

რეცენზენტები:

დაცვა შედგება__2022__წლის „__26__“__ივლისს__, __12__საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე, აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის კორპუსი , აუდიტორია 212
მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი
პროფესორი ეკა ცქიტიშვილი

Abstract

The most important challenge for Georgia at the present stage is the intensive and inclusive development of agriculture, the effective formation of which is unthinkable without a strategic development plan of the sector and a sustainable regional policy. At the same time, the current situation and practice show that if agrarian policy does not actively use the opportunities of the regional economy, the synergistic effect of centrifugal and centrifugal initiatives, targeted-conceptual nvolvement in places and program-modeled actions, it is impossible to succeed in the current situation, because purposeful, consistent, complex and multi-sectoral involvement in action-oriented activities has become a necessary prerequisite. For several decades now, the two-pole fundamental structure of economics, referred to as the well-known macro and micro-economics disciplines, has been added as a meso-level regional economy,which in modern conditions has the ability to form a complementary third pole. It is a recognized fact that The cornerstone of socio-economic development policy is the cooperation of regional and sectoral economics to ensure the fulfillment of a specific task. The situation has been created in the agriculture of the country, when the synergy of territorial and sectoral initiatives acquires special importance, we will get the desired result in the conditions of complex understanding of their capabilities, targeted program implementation and multisectoral involvement. According to the document adopted by the government for the next seven years - "Agriculture and Rural Development Strategy 2021-2027", the country should take care of creating competitive products, rural development, on inclusive involvement and achieving the economic effect of territorial-sectoral synergy. To achieve this main goal, important system-structural and conceptual-programmatic measures, purposeful and complex studies, as statistical-analytical, are to be implemented, As well as situational and contextual direction. From this point of view, it is interesting to present cognitive maps that consistently describe and analyze a specific object-topic. Important news is the use of existing and modern approaches to the introduction of new integrated technologies to ensure intensive and inclusive development of the field, as well as the importance of using effective mechanisms for calculating all types of regional features and specifics. The Action Plan and Conceptual Principles coincide with the three fundamental components of regional economic approaches:

- A system of situational and contextual analysis, measurable indicators to help us properly assess the existing reality
- Resource research, which reflects the levels of opportunities, industry prospects, competitiveness,mechanisms for identifying advantages, risk identification and also the assessment and analysis of social status.
-The third step is to organize the action plan according to the program principle, to comprehensively understand all types of sectoral opportunities, to formulate them systematically-structurally, organizationally, to optimize and effectively manage them. At the same time, the principle of targeted regional development programs provides for multisectoral engagement and is usually sharply focused on results. The problems of the existing agrarian and regional policies are identified, therefore the third chapter proposes a program model for the effective implementation of protectionist policies, where the functional responsibilities of both levels of government are clearly identified, first of all, in terms of achieving results. Surveys counducted at the same time clearly showed the role and importance of local initiatives in the case. The synergy of centrist and centrist policies in the real world is gaining urgency,which, by sharing interesting European experiences and the example of the Kvemo Kartli region, creates a classic example of focusing on strategic goals and concrete results in the current context, and reaffirms the thesis common in Europe: "Think globally - act locally". An alternative strategic vision for the development of the sector is proposed, where the protectionist and stimulus actions of the state appear as a strictly regulated, result-oriented system, which is ready to develop the sector through intensive, innovative methods, stimulate the production of competitive products with its terms, rules and requirements.

Important news is the formation of targeted rural development programming, where problems are identified, three proven conceptual models are identified, realistic goals and areas of action. Improving the Hierarchical Governance System of the Country, Issues of Territorial Arrangement, Multilevel Self-Government, Legal, Fiscal and Property Decentralization This is an incomplete list of the most important issues to be resolved in terms of the irreversible sustainable development of the country. With the help of the principles of regional economy, the most important issues of formation and introduction of intensive methods of agriculture and rural development strategy have been identified, such as: The importance of land management policy and market formation, industrial structural optimization and the introduction of agricultural zoning principles, identifying and evaluating competitive advantages, identifying the potential of the regionand justifying the effectiveness of software-modeled approaches. An important place is given to the assessment of the current situation and the understanding of the existing problems, because the current protectionist policy does not leave a sense of perfection and result-orients, hence its ineffectiveness. We oppose fragmentation and inertial-evolutionary mode in general with a wide range and scope of targeted action, case-specific and outcome-oriented programs, maximum involvement of local levels, and the need for a centrifugal policy. We also define the mechanisms for the effective use of the functions assigned to them by law, the socio-economic issues of the importance of decentralization, the proposed

initiatives for land management and disposal, the new incentive for the revival of systemic- structural optimization and cooperative movement - "Initiative from the bottom". The introduction of methods for assessing the inclusive growth of the economy, the introduction of mechanisms for the implementation of regional activism and stimulus policies is a novelty not only in the region, but also in Georgia. Created a complex target-industry action model, which takes into account all the prerequisites for creating a competitive product, including: identifying resource benefits, land management policy, system-structural optimization, the modern system of cultural zones, the importance of using innovative and integrated technological maps. Surveys of farmers and households in the region provide significant insights into the current situation and challenges. The country has entered a phase of economic development where there is no alternative to multi-sectoral involvement and the introduction of complex governance mechanisms. Target-based modeling programs will be effective only in terms of full involvement and responsibility of local self- government levels. The paper addresses a number of issues where their exclusive rights end improperly. Their position is crucial in the preparation of centrifugal initiatives, as well as in the implementation of the principles and approaches of the regional economy, which was confirmed by the proposed study. Agriculture and Rural Development Policy, in parallel with incentives to promote the production of competitive products, should ensure the introduction of employment, poverty alleviation and universal prosperity in the regions. There is no alternative to intensive development, but at the same time there is a systemic-structural reform, where the importance of its inclusiveness, as well as the convergent nature of the management of territorial units, is considered in parallel with the growth of material wealth and economy. In general, the concept and model of economic development can be developed in all locations across the country to better explore resource opportunities, create the preconditions for inclusive economic development, and purposefully fight for the desired prosperity. In the regions, as part of the "bottom-up" program initiatives, a radical change in the situation in terms of the introduction of inclusive economic growth and assessment methods is an urgent measure. The final section summarizes and generalizes the research results, which are presented mainly as a time challenge, a complex unity and a result-oriented business syergy.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის მიზნების და ამოცანების იდენტიფიცირება, ფორმირება და შესრულება უმნიშვნელოვანესი საკითხია საქართველოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, შესაბამისად მისი მიმდინარეობის კვლევა და შეფასება, ამავდროულად რეგიონული ეკონომიკის ფაქტორის როლის გამოკვეთა, ალტერნატიული ხედვების და მოქმედებების შემოთავაზება მეტად აქტუალურია თანამედროვე გამოწვევების თვალსაზრისით. ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად გვევლინება დარგობრივ-სექტორალურ ეკონომიკას და რეგიონულ ეკონომიკას შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რაც მაკრო და მიკრო ეკონომიკური ფაქტორებთან ერთად დამატებით წინაპირობებს აყალიბებს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის. რეგიონული ეკონომიკის პრინციპების ეფექტურად გამოყენება უზრუნველყოფს ადგილებზე დარგის სისტემურ-სტრუქტურულ რეფორმირებას, ქმნის კონცეპტუალურ-პროგრამულ სამოქმედო მოდელებს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ინოვაციურობის, საწარმოო ძალთა ოპტიმიზაციის, რაციონალიზმის, მაღალტექნოლოგიური ინტეგრირებული სპეციალიზაციის და ინკლუზიურობის ეფექტურ მოტივატორს.

ნაშრომი გვაძლევს საშუალებას სწორად შევაფასოთ და გავაანალიზოთ ორი მნიშვნელოვანი სტრატეგიის (სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარება 2021-2027 წ. და ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 2014-2021 წ) შინაარსი და ქმედუნარიანობა მიზნების და ამოცანების შესრულების საკითხში. შეფასებული და განზოგადებული მრავალი შემაფერხებელი ფაქტორები, ამავდროულად წარმოდგენილია საკითხისადმი კომპლექსური, მულტისექტორული მიდგომების სოციალურ- ეკონომიკური ეფექტი. ასევე მნიშვნელოვანია რეფორმა ორგანიზაციულ-სამართლებრივი სისტემის სრულყოფის, ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის და ბუნებრივ-რესურსული შესაძლებლობების კვლევის თვალსაზრისით. რეგიონული მმართველობის და თვითმართველობის გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მდგრადი-სივრცითი და ეკონომიკურ-ინკლუზიური განვითარებისათვის, ასევე პროცესის კონვერგენციული ხასიათი, რაც უნდა აღინიშნოს, რომ ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი მკვეთრად პრობლემატური

გამოწვევაა ევროკავშირის ქვეყნებისთვის და ამ მიმართულებით

საქართველოს სახელმწიფოს აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა გაწერილი მოქმედი კონსტიტუციით, ასევე ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური შეთანხმებით, შესაბამისად წარმოდგენილი ინკლუზიური ჩართულობით უზრუნველმყოფელი პროექტები იძენს მეტ აქტუალობას და ფასს. მნიშვნელოვანია თემატიკა ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურად გამოყენების, კონკურენტუნარიანი პროდუქციის უპირატესობების დადგენის და მიკროზონული ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობების თვალსაზრისით. უაღრესად დაკნინებულ და სამართლებრივად გაურკვევლობაში მყოფი ქართული სოფლისათვის შემუშავებულია განვითარების კონცეპტუალური მოდელი ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე. შექმნილია კონკრეტული პროდუქციის წარმოების შედარებითი უპირატესობების დადგენის კოგნიტური რუკები, ორ დონიანი მმართველობით-ადმინისტრაციული მასტიმულირებელ-მარეგულირებელი სისტემის კომპლექსური მიზნობრივი მოდელი და პროგრამული უზრუნველყოფის ახალი მეთოდოლოგია. მნიშვნელოვანი და აქტუალურია დღევანდელ მოცემულობაში ნაშრომში წარმოდგენილი ინკლუზიური ზრდის გაზომვის ავტორისეული მეთოდიკა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

– რეგიონული ეკონომიკის როლის და შესაძლებლობების გამოყენებით განისაზღვრა ადმინისტრაციულ-მმართველობითი სინერგიის მნიშვნელობა დარგობრივ და ტერიტორიულ განვითარების სტრატეგიულ გეგმებში. მიზნობრივი მოდელირებული პროგრამის ხასიათი მიიღო ნაშრომში წარმოდგენილმა პილოტ პროექტმა, სადაც პროტექციონისტული პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების ეფექტურად ამოქმედებით, საკანონმდებლო ინიციატივებით, სპეციფიკური პრობლემების იდენტიფიცირებით, ინტენსიური მეთოდის გამოყენებით, ოპტიმიზაციის და რაციონალიზმის პრინციპების დანერგვით, ასევე ორ დონიანი მოქნილი მასტიმულირებელი პოლიტიკით, ინტეგრირებული ტექნოლოგიური სქემებით, შედეგზე ორიენტირებულობით კომპლექსურად ჩამოყალიბდა და სისტემურ-ორგანიზაციულად დაიხვეწა.

– რეგიონის აგრარული სექტორის მიკროზონულ მაგალითზე პრაქტიკაში გამოიკვეთა სისტემურ-სტრუქტურული რეფორმირების როლი, კოოპერაციის

განვითარების მნიშვნელობა რეგიონის აქტიური პოლიტიკურ-ფუნქციონალური შესაძლებლობების ამოქმედების პირობებში. დადგინდა ადგილებზე დიფერენცირებული მიწის გადასახადის შემოღების აუცილებლობა და ბონიტეტის სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. გამოიკვეთა და დასაბუთდა მიკროზონული სიტუაციურ-კონტექსტუალური კვლევის, სიღრმისეული ნიადაგობრივ-კლიმატური უპირატესობების და კულტურის მართებული დარაიონების პირობებში შექმნილი მიზნობრივი-მოდელირებული პროგრამების განსაკუთრებული ეკონომიკური და კონკურენტული შესაძლებლობები.

– პირველად საქართველოს რეგიონისთვის შემუშავდა სოფლის განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო-მოდელი, რომელიც სრულად აცნობიერებს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს რესურსული კვლევის, სივრცითი დაგეგმარების, ფინანსურ-უფლებრივი დეცენტრალიზაციის, პროგრამული მოდელირების, ეკონომიკური ინკლუზიურობის და ზოგადად თვითმართველობის გაძლიერების თანმიმდევრული რეფორმატორული მოქმედებების მნიშვნელობას.

– იერარქიულად და კომპლექსურად გაანალიზდა ქვეყნის შედარებითი კონკურენტული შესაძლებლობები ყველა მიმართულებით, ამავდროულად იდენტიფიცირდა დარგში არსებული პრობლემები და გამოწვევები. გამოიკვეთა რეგიონული ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა კვლევა-ანალიზის, რესურსული შეფასების და საწარმო პროცესის მოდელირებაში, რაც ხახვის კულტურის წარმოების სპეციალურ მიზნობრივ პროგრამებაში აისახა, სადაც კვლევით შერჩეულ ლოკალურ მიკროზონაში დასაბუთებულია პროექტის კონკურენტული უპირატესობა. სამოქმედო მოდელში-,,სამთავრობო პროტექციონიზმიდან სისტემურ-სტრუქტურულ ოპტიმიზაციამდე'' გაანალიზებულია ყველა შემაფერხებელი და დამაბრკოლებელი ფაქტორი შეფასების-ანალიზის ჩვენებით. პირველად მოდელირებული პროგრამის აგებისას გამოყენებული იქნა ე.წ. ,,კოგნიტური რუკები'', რომელიც საშუალებას გვაძლევს პრობლემის განზოგადების, საფუძვლიანად აღქმის, სიღრმისეულად გააზრების, სრულფასოვნად გაანალიზების, შეფასების და შესწავლის თვალსაზრისით.

– ჩამოყალიბდა მეთოდოლოგია და შეიქმნა ექსპერიმენტული მოდელი, სადაც აგრარული დარგის ინტენსიური განვითარების პირობებში რეგიონულ-მიკროზონულ ჭრილში გაანალიზებული და დადგენილ იქნა ადგილებზე ინკლუ-

ზიური ეკონომიკური ზრდის სპეციფიკური ინდიკატორებით შეფასების მნიშვნელობა. თანამედროვე ეტაპზე ამ პროცესის შესწავლას აქვს არა მხოლოდ დასაქმების, საყოველთაო კეთილდღეობის ან პოლიტიკურ-ეკონომიკური კონვერგენციის დატვირთვა, იგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ასევე თანამედროვე დემოგრაფიული და სოციალურ-კულტურული გამოწვევების დაძლევის კუთხითაც.

კვლევის მიზნები და ამოცანები

– რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის დონის ფუნქციონალურ-ადმინისტრაციული საკანონმდებლო მდგომარეობის შესწავლა.

– რეგიონული ეკონომიკის შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების როლი ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის სინერგიის პირობებში. --სოფლის განვითარების კონცეფციის შექმნა. მისი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების კვლევის და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებში. --მიწის მართვის პოლიტიკის რეგიონულ-ადგილობრივი ასპექტების ანალიზი. -- კონკურენტული უპირატესობების დადგენის მექანიზმების კომპლექსური მოდელის ფორმირება პრინციპით - ,,ქვემოდან ზევით''. ნიადაგობრივ-კლიმატური მიკროზონული კვლევებიდან მასშტაბურ სისტემურ-სტრუქტურულ რეფორმამდე. პოლიტიკის ფორმირების, პროგრამის შექმნის და გადაწყვეტილების მიღების ადგილობრივი მიდგომა. რესპოდენტთა გამოკითხვა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების საკითხში ადგილობრივი ხელისუფლების აქტიურად თანამშრომლობის მნიშვნელობაზე მთელ რიგ პრობლემატურ თემებში.

– მიზნობრივ-დარგობრივი პროგრამული მოდელის შექმნა მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური და რეგიონული ეკონომიკის პრინციპების კომპლექსურად ამოქმედების პირობებში, შესაბამისად პროექტის შედეგის უზრუნველმყოფელი მასტიმულირებელ-მარეგულირებელი კომბინაცია სამმხრივი ჩართულობით. ,,ბენეფიციარი-კოოპერატივი'' – ,,ადგილობრივი ხელისუფლება-ცენტრისკენული ინიციატივა''–,,ცენტრალურიხელისუფლება-მასტიმულირებელ მარეგულირებელი პოზიციით''. – ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის გაზომვა-შეფასების მეთოდიკის შემუშავება სოფლის განვითარების კონცეფციის არსებობის და სამოქმედო დარგობრივი მიზნობრივ-პროგრამული მოდელირების პირობებში.

კვლევის საგანი და **მეთოდოლოგია** კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებია ეკონომიკურ დისციპლინათა ფართო სპექტრი, რომელიც განხილულია

მაკრო, მიკრო და მეზო მიმართულებებით; რეგიონული ეკონომიკის შესაძლებლობების კვლევა აგრარული დარგის ინტენსიურად და ინკლუზიურად განვითარების უზრუნველსაყოფად; სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესრულების შეფასების კრიტერიუმების სრულყოფილების განხილვა; აგრარული და რეგიონული პოლიტიკის სინერგიის მნიშვნელობის განსაზღვრა, ამავდროულად ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის საქმიანი თანამშრომლობის უზრუნველმყოფელი პროგრამული მიდგომების შესწავლა; სოფლის განვითარების ევროპული გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა და საქართველოს პირობებში მისი კონცეპტუალური პროგრამული მოდელის შექმნა;

მიწის მართვის პოლიტიკის რეგიონული და ადგილობრივი დონეების ფუნქციონალური და სამეურნეო ასპექტების განხილვა-იდენტიფიცირება;

მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მექანიზმების ამოქმედება და მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი ეკსკლუზიური ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფის მნიშვნელობა, რაც პირველ რიგში მიწის გადასახადის დაწესების დიფერენცირებულ ხასიათს და ბონიტეტის სისტემას ეხება;

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დარაიონების თანამედროვე სისტემური მიდგომების და ოპტიმიზაციის პრინციპების დანერგვის მნიშვნელობა;

კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის პრინციპები და მეთოდიკა ქვემო ქართლის რეგიონის ერთი კონკრეტული აგრარული კულტურის მაგალითზე;

რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ადგილობრივი მართველობის როლის და ფუნქციის შეფასება დარგობრივ-ტერიტორილ და მიკროზონული განვითარების ჭრილში;

სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიული მიზნების შესრულების უზრუნველმყოფელი მიზნობრივ-პროგრამული მოდელი რეგიონის აგრარული სექტორის ერთ კონკრეტულ ლოკაციაში;

ეკონომიკური ზრდის და განვითარების ინკლუზიურობის გაზომვა ადგილებზე ავტორის მიერ შემოთავაზებული ორიგინალური მეთოდიკით;

კვლევის თეორიული მნიშვნელობა

საქართველო გადის ისტორიულ პერიოდს, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ფორმაციული ცვლილებების გარდა

ახდენს კლასიკური თეორიული შეხედულებების შეფასებას და განვითარების საკუთარი მაკროეკონომიკური კონცეფციის ჩამოყალიბებას. ნაშრომში შემოთავაზებული კვლევის თეორიული ასპექტები ერთმნიშვნელოვნად ეყრდნობა საინტერესო ევროპულ გამოცდილებას და აყალიბებს თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სოფლის მეურნეობის ინტენსიური მეთოდით განვითარების ეფექტურობას და პროცესში ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მნიშვნელობას. კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრა-დადგენის თეორიული საფუძვლების გაანალიზება და ქართულ რეალობაში გადმოტანა დღევანდელობის უმთავრესი გამოწვევაა, შესაბამისად სახელმწიფო პროტექციონიზმის კვლევა და მისი მომართვა შედეგზე ორიენტირებულობის თვალსაზრისით ფუნდამენტურად ცვლის დღეს არსებულ არაფრის მომცემ რეალობას. უმძიმესი, ღია კონკურენციის პირობებში წინა პლანზე იწევს დარგის კომპლექსური სისტემურ-სტრუქტურული მოდერნიზაციის და ინკლუზიური ჩართულობის საკითხი, რაც რეგიონული ეკონომიკის პრინციპების ეფექტურად გამოყენებით დამატებით სტიმულს სძენს პროცესს, ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული ეკონომიკის თეორიული ასპექტების განხილვა დღევანდელ მოცემულობაში და ამ კუთხით კიდევ ერთხელ გადასვლა წარსულში, სადაც პროცესი ხასიათდებოდა განვითარების ეტაპებით, ფაზებით და შეხედულებების მრავალფეროვნებით.

ქვეყნის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების სწორად ჩამოყალიბება და მოქმედებაში მოყვანა უმთავრესი სახელმწიფოებრივი საკითხია. პროცესის მართვა საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ამავდროულად გამართული და ეფექტური მასტიმულირებელ-მარეგულირებელი ქმედითუნარიანი სამთავრობო პოლიტიკით არის შესაძლებელი, რაც ნაშრომში არაერთგზის კომპლექსური მიდგომებით და მულტისექტორული ჩართულობით არის ნაჩვენები. სოფლის მეურნეობის ინტენსიური და ინკლუზიური განვითარების მდგომარეობის შეფასებას უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ვითარებაში, რადგან მიუხედავად გატარებული პროტექციონისტული პოლიტიკისა მდგომარეობა დარგში რჩება მძიმე, შესაბამისად დღის წესრიგში დგება საკითხი, რომლის გადაწყვეტაც პირდაპირ კავშირშია პროექტების მიზანშედეგობრივ შინაარსთან, სადაც ცალსახად გამოჩნდა, ცენტრიდანული პოლიტიკის ხარვეზები, შესაბამისად შემოთავაზებული ცენტრისკენული ინიციატივები, თვითმმართველობისთვის ეკონომიკური

აქტორის როლი და ორ დონიანი მასტიმულირებელი პოლიტიკის ქართული ვარიანტი სრულიად ახალი მიდგომაა თანამედროვე მოცემულობაში.

პირველად გაჩნდა პროგრამული მიდგომა, სადაც ერთდროულად რამოდენიმე მიმართულება კომპლექსურად ქმნის ერთიან სტრატეგიულ ხედვას შედეგზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის თვალსაზრისით:

- რეგიონული ეკონომიკის პრინციპები, სივრცითი განვითარების, სოფლის კონცეფციების ჩამოყალიბების და რესურსული შესაძლებლობების კვლევით;
- კოგნიტური რუკების მეშვეობით ოთხ ფაზად წარმოდგენილი სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები და უპირატესობანი;
- მიწის მართვის პოლიტიკა, რომელიც რეგიონულ და მუნიციპალურ ჭრილში დელეგირებს ინკლუზიურ ფუნქციებს და ალაგებს მართვა-აღრიცხვის, ასევე ბონიტეტის სისტემის ფუნქციონირებას;
- სოფლის მეურნეობის დარგის სისტემურ-სტრუქტურული ოპტიმიზაცია და კულტურათა დარაიონების მრავალსაფეხურიანი სამუშაოს დანერგვა-ხელშეწყობა;
- კონკურენტული უპირატესობის დადგენის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და გამოსავალი უმძიმესი მსოფლიო კონკურენციის პირობებში;
- ინტენსიური განვითარების კომპლექსური მექანიზმების დანერგვა და ინკლუზიური ჩართულობის გაზომვის მეთოდიკის მნიშვნელობა დღევანდელ მოცემულობაში; დისერტაციის რიგი მეთოდური დებულებები და მიგნებები მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლის პროფილურ პროგრამებში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომში დასაბუთებულია კომპლექსური სისტემურ-ორგანიზაციული მიდგომის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის დარგის ინტენსიური და ინკლუზიური განვითარებისთვის. რეგიონული ეკონომიკის პრინციპების ამოქმედების როლი მიზნობრივ-პროგრამული საკითხების განვითარების საქმეში, ასევე ყურადსაღებია ადგილებზე მიკროზონული კვლევების, ქვემოდან ინიციატივების

და ზოგადად ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის სინერგიული მოქმედების ეფექტი. ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე ჩვენ გვაქვს საშუალება შემოთავაზებული მიდგომებით შევქმნათ სოფლის განვითარების კონცეპტუალური მოდელები, სადაც განსაზღვრული იქნება ყველა სფეციფიკური პრობლემა, უპირატესობა და შესაძლებლობა, შესაბამისად სოფლის განვითარების საკითხებში გვეძლევა საშუალება ჩავიდეთ სიღრმეებში და სრულფასოვნად წარმოვადგინოთ მიკროზონის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. ყველა ზემოდხსენებული თეორიული განხილვები გადის პრაქტიკულ კვლევებზე და გადაწყვეტილებებზე, აქედან გამომდინარე ნაშრომს აქვს უაღრესად საინტერესო შესაძლებლობები და მნიშვნელობა დღევანდელ მოცემულობაში.

ნაშრომის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი

ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ცალსახად გამოიკვეთა კომპლექსური სისტემურ-სტრუქტურული რეფორმის აუცილებლობა. ნაშრომი საშუალებას იძლევა ფართო მოქმედების დიაპაზონით მოვახდინოთ ოპტიმიზაციის და რაციონალიზმის პრინციპების დანერგვა, ინოვაციურ ინტეგრირებულ ტექნოლოგიებზე გადასვლა, სრულფასოვანი კვლევა-ანალიზის ჩატარება და კონკურენტული უპირატესობების დადგენა. მიზნობრივ-დარგობრივი პროგრამული მოდელით გავხდეთ მეტად შედეგზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს განვითარების გარანტირებულად მაღალ ტემპს როგორც ინტენსიურობის, ასევე ინკლუზიურობის თვალსაზრისით:

- ლოკალური მიკროზონის კომპლექსურად დამუშავებული საინფორმაციო-ანალიტიკური ხედვა, როგორც ინვესტიციების მოზიდვის უპირველესი გარანტია;
- ერთგვაროვანი პროდუქციის მასშტაბური წარმოების შესაძლებლობების შექმნა;
- პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველმყოფი მოდელირებული პროგრამა და საწარმოო დანახარჯების მკვეთრი შემცირება;
- მასტიმულირებელ-მარეგულირებელი სისტემა, რომელიც ამცირებს საწარმოო რისკებს და შედეგზე ორიენტირებულს ხდის პროცესს;
- ეკონომიკის ინკლუზიურად განვითარების შესაძლებლობებიდან

გამომდინარე იქმნება სიღარიბის დაძლევის მექანიზმი და უკეთ მართვადი ხდება სოცსისტემის ფუნქციონირება;

- მიგრაციული პროცესის შეჩერება და მოსახლეობის ღირსეულად დასაქმება;
- მდგრადი განვითარების, სოციალური სამართლიანობის და საზოგადოებრივი პოლარიზაციის დონის შემცირების უზრუნველმყოფელი მექანიზმები;
- გამჭვირვალე, ინკლუზიურ ზრდაზე და მდგრად-დინამიურ განვითარებაზე ორიენტირებული თანმიმდევრული რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ;
- საგზაო, კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამეწარმეო განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იმპულსის გაჩენა და ცოდნის ეკონომიკის უპირატესი პრინციპების დანერგვა, სადაც კოგნიტური რუკების გამოყენება მოგვცემს საშუალებას სრულფასოვნად გავაანალიზოთ არსებული მოცემულობა და დავნერგოთ ინოვაციური მიდგომები საქმეში;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პირების ნაწილის ღირსეული დასაქმება, ამავდროულად მესაკუთრე ფერმერების შემოსავლების მკვეთრი ზრდა;

ეკონომიკური თვითმმართველობის შესაძლებლობები

პრინციპი ,,ვიაზროვნოთ გლობალურად და ვიმოქმედოთ ადგილობრივად'' სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება მსოფლიოში და ევროპა ამის მრავალ საინტერტესო პროექტ-მაგალითს გვთავაზობს. სახელმწიფოს მხარდაჭერის ორ დონიანი თანამშრომლობის სინერგიული სისტემა უპირობოდ განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დღევანდელ მოცემულობაში. აღნიშნული მიდგომა ერთის მხრივ ზრდის შესაძლებლობების კვლევის არიალს და სიღრმეს, ხოლო მეორეს მხრივ იდეალური ინსტრუმენტია შედეგზე ორიენტირებული საქმიანობისთვის. ქვეყანაში აქტიურად ავითარებენ ე.წ. ,,lag''- ის სისტემას, რომელიც გადაწყვეტილებების გამჭვირვალეობას უზრუნველყოფს, თუმცა პროცესში დიდ მნიშვნელობას პირველ რიგში სოფლის სტატუსის, სივრცითი განვითარების, ფისკალური ავტონომიურობის, ქონებრივი დეცენტრალიზაციის და

ინკლუზიური ჩართულობის საკითხი იძენს, რაც ფართოდ არის გაშუქებული ნაშრომში და შემოთავაზებულია კონკრეტული სამოქმედო მოდელი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს დარგის განვითარების საეტაპო გამოწვევა, რაც პირველ რიგში მის კონცეპტუალურ შინაარსშია ასახული და ცალსახად გამოცხადებულია როგორც დარგის განვითარების ,,რეგიონალისტური კონცეფცია'', რომელიც გახლავთ ერთ-ერთი აღიარებული ევროპული ქვეყნების აგროპოლიტიკური მოდელებიდან. საერთაშორისო ორგანიზაციების, პარტნიორების და დონორების მიერ გაცემულმა რეკომენდაციებმა ჩამოაყალიბა ახალი სტრატეგია ასეთი ფორმით და შინაარსით. დღეს ამის არ გააზრება, დეცენტრალიზაციის პროცესის შეჩერება, ტერიტორიული ერთეულების იგნორირება და მათთვის ეკონომიკური აქტორის ფუნქციის შეზღუდვა ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენივე მიღებულ ახალ სტრატეგიას, რაც დანაშაულის ტოლფასი ქმედებაა.

კვლევის შედეგების აპრობაცია

დისერტაციის ცალკეული ნაწილები კოლოქვიუმების სახით დაცულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სპეციალური კომისიის წინაშე. კვლევის სხვადასხვა დებულებები მოხსენიებული იყო და სტატიის სახით გამოქვეყნდა სამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები 2019, 2021, 2022 წ.)

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ეკონომიკა''. გამოქვეყნდა ორი სტატია. ერთი სტატია ჟურნალში ,,აგრარული საქართველო''.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის ტექსტი შესრულებულია 168 გვერდზე. კომპიუტერზე ნაბეჭდი მასალები მოიცავს შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას, სამ ძირითად თავს, დასკვნა-რეკომენდაციებს, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას და დანართს. მისი შინაარსი შემდეგია:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. მდგრადი რეგიონული განვითარების კონცეპტუალურ-პროგრამული მოდელები.

1.1 რეგიონული ეკონომიკის მნიშვნელობა და თანამედროვე გამოწვევები

1.2. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის ფორმირებაში ტერიტორიულ-დარგობრივი სინერგიის ეკონომიკური ეფექტი

1.3. სოფლის განვითარების კონცეფციები და მიზნობრივი პროგრამული მოდელები ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე

თავი 2. ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და კონკურენტული უპირატესობა.

2.1. მიწის მართვის პოლიტიკის მნიშვნელობა და გამოწვევები. მიწის ბაზრის ფორმირების რეგიონული ასპექტები

2.2. ადგილებზე სოფლის მეურნეობის დარაიონების, საწარმოო ტექნოლოგიური და სტრუქტურული ოპტიმიზაციის პრინციპების დანერგვის მნიშვნელობა

2.3. რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტული უპირატესობების იდენტიფიცირება და შეფასება

თავი 3. ალტერნატიული სტრატეგიული მიდგომები და ცენტრისკენული პოლიტიკის ეფექტი აგრარული დარგის ინტენსიურ და ინკლუხიურ განვითარებაში.

3.1. მიზნობრივ-დარგობრივი მოდელირებული პროგრამების ეკონომიკური ეფექტი ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე

3.2. რეგიონის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის გაზომვის მეთოდიკა

აგრარული დარგის ინტენსიური განვითარების პირობებში

დასკვნა

დანართი

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალსა და ლიტერატურის კვლევის ნაწილში ფართოდ განხილულია რეგიონული ეკონომიკის როლი და შესაძლებლობები თანამედროვე პირობებში. ხაზგასმულია ქვეყნის წინაშე არსებული ახალი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესრულების პროცესში დარგობრივ-ტერიტორიული თანამშრომლობის მნიშვნელობა, ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის შეთანაწყობის და მათი მოქმედებების სინერგიული ეფექტის პოზიტიური როლი. საინტერესო და ღირებული ევროპული გამოცდილება, სადაც კონცეპტუალურად, აზრობრივად და საქმიანად მოქმედებს ცნობილი თეზა - ,,იაზროვნე გლობალურად - იმოქმედე

ადგილობრივად'', რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით ეხმიანება დღევანდელ გამოწვევებს. ნაშრომში შემოთავაზებული დარგობრივი მოდელირებული პროგრამების აგების პრინციპი ეფუძნება სწორედ ასეთ მიდგომებს და ეხმიანება ასევე საყოველთაო გავრცელებულ მეორე თეზას - ,,ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა არის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავალ შესაძლებლობებს, არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით, არამედ გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით.'' დღეს მოქმედი სტრატეგია აღარ არის მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგობრივი, მას სამართლიანად დაემატა სოფლის განვითარება და ეს ხაზგასმით მიუთითებს პროცესში რეგიონული, მუნიციპალური და სოფელ-თემის დონის ჩართულობის აუცილებლობაზე. ამ მოცემულობაში კი მაკრო და მიკრო ეკონომიკურ დონეებთან ერთად აქტუალური ხდება რეგიონული ეკონომიკის (მეზო დონის) ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელობა. აგრარული დარგის განვითარების ინტენსიურ მეთოდს ალტერნატივა არ აქვს, თუმცა ნაშრომში წარმოდგენილი სიახლე ითვალისწინებს სახელმწიფო მასტიმულირებელი პოლიტიკის ორ დონიან მხარდაჭერას, სადაც ადგილებიდან წამოსული სრულფასოვნად შესწავლილი მიკროზონული ინიციატივების კვალდაკვალ განიხილება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის და ჩართულობის ფაქტორი, შესაბამისად აქტუალურია შემოთავაზებული ავტორისეული მეთოდოლოგია მისი გაზომვის და შეფასების თვალსაზრისით.

ლიტერატურის კვლევის ნაწილში საკმაოდ ფართოდ და სიღრმისეულად არის განხილული თეორიული წინამძღვრები და მნიშვნელოვანი ტენდენციები როგორც რეგიონული ეკონომიკის, ასევე დარგობრივი განვითარების მიმართულებით. ნაშრომის განსაკუთრებულ ღირებულებაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ მასში კომპლექსურად გააზრებული და მულტისექტორულად წარმოდგენილია ყველა ის აქტორი, რომელიც ქმნის მიზნობრივ-მოდელირებულ პროგრამას, სადაც დაცულია რეგიონული ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ყველა მოთხოვა (სტატისტიკურ-ანალიტიკურ-ინფორმაციული, კონტექსტუალურ-სიტუაციური შერჩევითი კვლევები, ტერიტორიულ-სივრცითი რესურსულ-მიკროზონული შესაძლებლობების ანალიზი და პროგრამული მოქმედების წინაპირობების განმსაზღვრელი მწყობრი სისტემა) და ნაჩვენებია აგრარული ინტენსიური წარმოების განმსაზღვრელი პირობება-ვალდებულებები (საწარმოო ოპტიმიზაცია,

ინოვაციურ-ინტეგრირებული ტექნოლოგიები, კონკურენტული უპირატესობის დადგენა-განსაზღვრა-შექმნის ეფექტური სისტემა).

უაღრესად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა რეგიონული პოლიტიკის და ეკონომიკის კვლევის მიმართულებით. ამის მანიშნებელი მრავალი თემატური ნაშრომია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის აქტუალობას (ე.ბარათაშვილი, ჯ.ზარანდია, გ.ერქომაიშვილი, ა.აბრალავა, თ.გოდერძიშვილი, ლ.მამულაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.ნასარია, თ.ლაგვილავა ,,რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა''. 2022წ. ასევე ნ.ჩიხლაძე ,,რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები'' 2021წ. გამოცემა). აგრარული ეკონომიკის კვლევის და შეფასების ნაწილში, ასევე პოლიტიკის და სტრატეგიის განსაზღვრის კუთხით მნიშვნელოვანია პაატა კოღუაშვილის, ნოდარ ჭითანავას, თამაზ კუნჭულიას ნაშრომები, სადაც კვალიფიციურად გაანალიზებულია არსებული ვითარება, მსოფლიო გამოცდილება და მოცემულია პერსპექტიული განვითარების გზები.

ტერიტორიულ-დარგობრივი განვითარების მრავალ თეორიულ-კონცეპტუალურ მიდგომების კვლევისას იკვეთება ქართული მოდელის შექმნის მნიშვნელობა, რაც ავტორისეული ხედვით ,,დიდი ბიძგის'' პოლიტიკის მზგავს კომპლექსურ მოქმედებებს უნდა დაუკავშიროთ, როდესაც დარგის განვითარება-მოდერნიზირება მოხდა სახელმწიფოს გონივრული პროტექციონისტული პოლიტიკით იმ ნაწილში, სადაც რეგიონული ეკონომიკის მექანიზმების ამოქმედებით დგინდება პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა ან შესაძლებლობა მისი გააქტიურების და განვითარების.

ნაშრომის პირველ თავში აქცენტი კეთდება მდგრად რეგიონულ განვითარებაზე, კონცეპტუალურ ხედვებზე და მოდელირებული პროგრამების მომზადებაში რეგიონული ეკონომიკის როლზე. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ტრადიციულად იმსახურებს რეგიონული ეკონომიკის განმარტება-გააზრების თანამედროვე მიდგომები და მისი შესაძლებლობები დღევანდელ მოცემულობაში შეიძინოს საქმიანი აქტორის ფუნქცია. პირველ ქვეთავში ხაზგასმულია რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას, დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციას, თვითმმარ-

თველობის ექსკლუზიური ფუნქციების შესრულებას, ევროპულ გამოცდილებას ფედერალური, უნიტარული და რეგიონალისტური პრინციპებით მართვის თვალსაზრისით. დასაბუთებული და განზოგადებულია სიტუაციური ტრანსფორ-მაციის და რეფორმირების მნიშვნელობა ამ მიმართულებით, რადგან

წინააღმდეგ შემთხვევაში მიუღწეველი ხდება რეგიონული ეკონომიკის პრინციპე-ბის დანერგვა და მისი პროგრამული გამოყენება. მეორე ქვეთავში დასაბუთებულია ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის თანამშრომლობის სინერგიული ეფექტის პოზიტიური როლი, ამავდროულად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაგალითზე განხილულია შედეგზე ორიენტირებული პროტექციონისტული პოლიტიკის მნიშვნელობა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების უზრუნველყოფის საკითხში. ნაჩვენებია საქართველოში მოქმედი პოლიტიკის ხარვეზები და მოცემულია ალტერნატიული მიდგომების კონცეპტუალური პროგრამა, რომელიც ეფუძნება ორ დონიან (სახელმწიფო, რეგიონი ან მუნიციპალიტეტი) მასტიმულირებელ-მარეგულირებელ მხარდაჭერას და შედეგზე გასვლის კონტროლი-მონიტორინგის სისტემის ახლებურად გააზრებას. დღევან-დელი პოლიტიკა შეფასებულია, როგორც ,,ევოლუციური ინერცია'', რომელიც სრულ შეუსაბამობაშია დღევანდელ გამოწვევებთან და ხშირ შემთხვევაში უყაირათობის, მფლანგველობის და ფრაგმენტული განვითარების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. მრავალ თეორიულ მიმდინარეობების გაცნობასთან ერთად გაანალიზებულია მათი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, რადგან სრულ შეუსაბამობაში მყოფი ქვეყნის აგრარული პოლიტიკა ვერ ქმნის განსაკუთრებულ საინვესტიციო, ეკონომიკურ თუ ტექნოლოგიურ ეფექტს და ეს არც არის გასაკვირი. ეფექტიან შედეგზე არაორიენტირებული პროტექციონიზმი, გაურკვეველი, არადინამიური რეგულაცია-დერეგულაცია, სისტემურ-სტრუქტუ-რული კოლაფსი, ფინანსურ-საინვესტიციო შიმშილი პირველად წარმოებაში, ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული ჩამორჩენა არ იძლევა წინაპირობას სწრაფი განვითარებისათვის. ავტორის მიერ შემოთავაზებული მიდგომები ორ დონიან სახელმწიფო მხარდაჭერასთან ერთად აქტიურად იყენებენ რეგიონული ეკონომიკის ფუნდამენტალურ ფუნქციონალურ პრინციპებს, ქმნიან ინსტიტუციონალური ეკონომიკისთვის დამახასიათებელ მოქნილ და ეფექტიან თამაშის წესებს, ასევე მულტისექტორული ჩართულობით და სისტემურ-

სტრუქტურული რეფორმირებით გადიან სრულიად ახალ მიზნობრივ-პროგრამულ მოდელზე, სადაც პროდუქცია იქმნება მიკროზონული, ტექნოლოგიური და ეკონომიკურ-კონკურენტული უპირატესობის დადგენის კვალობაზე.

მესამე ქვეთავში განხილულია სოფლის განვითარების კონცეფციები და მოცემულია ქვემო ქართლის რეგიონის ბოლნისის მუნიციპალიტეტის პროგრამა-მოდელი, სადაც მიკროზონული პრინციპით დაყოფილია სოფელ-თემის ტერიტორიული ორგანოები და შექმნილია მიზნობრივ-კონცეპტუალური განვითა-რების მოდელი. ამ საკითხში უაღრესად მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილე-ბის გაზიარება, ჩვენი სპეციფიკის ზედმიწევნით სწორად გააზრება და შეფასება.

ბოლო წლებში ევროპის თანამეგობრობის სივრცეში შექმნილია და ფუნქციონირებს სოფლის განვითარების რამდენიმე კონცეპტუალური მიდგომა, რომელთაგან ძირითადად დამკვიდრდა სამი მიმართულება, შესაბამისად ნაშრომში აღწერილია მათი პროგრამული შინაარსი და სპეციფიკა (,,აგრარული მოდელი'', ,,კომპლექსური მოდელი, ,,თანადგომის მოდელი'').

მეორე თავი - ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და კონკურენტული უპირატესობა. დღეს განსაკუთრებული გამოწვევაა მიწის მართვის ერთიანი პოლიტიკის მდგომარეობის შეფასება და ამ კონტექსტში მიწის ბაზრის ფორმირება და თემის რეგიონულ-მუნიციპალური ასპექტები. მწვავე პრობლემების იდენტიფიცირებასთან ერთად სიღრმისეულად არის ასახული მართვაში ადგილობრივ-ტერიტორიული ორგანოების შესაძლებლობები და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები. გაეროს რეკომენდაციით დუბლირების პრობლემის თავიდან აცილების მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო-წესები და ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათის პროგრამული მექანიზმები. ნიშანდობლივი ფაქტია პროცესში ადგილობრივ-მმართველობითი სამივე დონის ფუნქციის გამოკვეთა.

მეორე ქვეთავში განხილულია სისტემურ-სტრუქტურული რეფორმირების პრობლემები და შემოთავაზებულია კულტურათა დარაიონების ავტორისეული ხედვა, რომელიც ეყრდნობა სტატისტიკურ, სიტუაციურ-კონტექსტუალურ და რესურსულ კვლევებს, სიღრმისეულ ნიადაგობრივ-კლიმატურ დასკვნებს და ამ პროცესში რეგიონული ეკონომიკის შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოყენე-ბის აუცილებლობას. გაანალიზებული და შეფასებულია ქვეყანაში კოოპერაციული

მოძრაობის სუსტი მხარეები, მოცემულია ევროპული მაგალითი რეგიონული სტრუქტურების ქმედითი როლის გამოკვეთით და ამ მოცემულობაში სამოქმედო ინიციატივის - ,,ქვემოდან ზემოთ'' პრინციპის შეუცვლელი მნიშვნელობა.

მესამე ქვეთავი ეძღვნება ახალი სტრატეგიის მთავარ მიზანს - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უპირატესობების იდენტიფიცირება-შეფასების და შექმნის მეთოდოლოგიას. ნაშრომში განხილულია ხუთი მთავარი აქტორის (სახელმწიფო, ეკონომიკა, დარგი, პროდუქტი, ფირმა) შესაძლებლობების და მოვალეობების ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობა, ასევე ყველა მოქმედებაში განსაზღვრულია რეგიონული ეკონომიკის პოზიტიური როლი, რაც გამოიხატება უპირველეს ყოვლისა პირველ ეტაპზე კონკურენტული უპირატესობის შექმნა-შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაში. აქვე განხილულია პროცესის მომდევნო ეტაპები და ფაზები, რომლებიც უკავშირდება ინოვაციებს მართვაში და ტექნოლოგიებში, ხარისხის სერთიფიცირებას და მაღალი გემოვნური თვისებების მიღწევის მნიშვნელობას, საექსპორტო ბაზრების კვლევა-მარკეტინგს და ადგილობრივ ბაზარზე ცნობადობა-დამკვიდრების სისტემის აწყობას.
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრაქტიკული მაგალითით, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ნაშრომში განხილული და შეფასებულია ტრადიციული ხახვის კულტურის მუყვანის კონკურენტული უპირატესობები, სუსტი მხარეები და შესაძლებლობები. კომპლექსური ანალიზით დგინდება პროცესში ადგილობრივი ინიციატივების მნიშვნელობა და რეგიონული ეკონომიკის პრინციპების სრულფასოვნად ამოქმედების პოზიტიური როლი.

ნაშრომის მესამე თავი- კრავს და აყალიბებს ყველა ზემოდხსენებულ გამოწვევებს, პრობლემებს, ტენდენციებს და ქმნის რეგიონული ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან-საპასუხისმგებლო მიმართულებას - ,,კომპლექსურ მიზნობრივ მოდელირებულ პროგრამის ფორმირებას''. მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში სახელმწიფო საჯარო მმართველობის ეფექტიანობის არსებული მოდელის გააზრება, რომელიც დასავლეთში ჯერ კიდევ წინა საუკუნის ბოლოს აპრობირებული ძირითადი ხუთი ფაზით ხასიათდებოდა. გვიჩნდება სამართლიანი განცდა, რომ ჩვენთან პროცესს აკლია, როგორც მეცნიერული გააზრების, ასევე შეფასებითი კრიტერიუმების მოქმედების სივრცე:

1. პრიორიტეტულ თემათა და პრობლემათა ჩამოყალიბება;

2. ფორმირება მრავალმხრივი ალტერნატივის ჩვენებით და შეფასებით;
3. ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და პოლიტიკური კურსის დამტკიცება;
4. სამოქმედო გეგმა-გრაფიკის პრაქტიკაში განხორციელება და იმპლემენტაცია;
5. მთავრობის მიერ შეფასებული შედეგები და მოქნილი პოლიტიკა;

ახალი სტრატეგიის განხილვისას უგულვებელყოფილია ზემოდ აღნიშნული ხუთივე მნიშვნელოვანი ფაზა. ფაქტია, რომ ვერ ვაცნობიერებთ დღევანდელი გამოწვევების სიმძიმეს, იგნორირებულია სისტემური მიდგომა, ბუნდოვანი და არაშედეგზე ორიენტირებულია სამოქმედო გეგმა-გრაფიკები. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ დარგის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი პირდაპირ კორელაციაშია სტატისტიკურ-ანალიტიკურ, სიტუაციურ და კონტექსტუალური კვლევების ინფორმაციის ხარისხთან. ამ მოცემულობაში პროცესი საჭიროებს მიზანზე ორიენტირებული ინდიკატორებით კვლევებს. მოდელის სქემატურად აგების პარალელურად მიმაჩნია პროცესში ხაზგასმული იყოს მართვის სამი პოლუსის შესაძლებლობები და ფუნქციამოვალეობები (მაკროეკონომიკური მხარდაჭერა, მიკროეკონომიკური პროექტი და რეგიონული ეკონომიკის პრინციპების გამოყენების მოდელირებული პროგრამა).

ხახვის წარმოება ქვეყანაში უკანასკნელ წლებში მცირდება და 2020 წლის მონაცემით ისტორიულ მინიმუმზეა, რაც გამოწვეულია მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზით. შემოთავაზებული მიზნობრივი პროგრამის ინიციატორად ადგილობრივი დონე გვევლინება, რომელიც რეგიონული ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით და ინსიტუციონალური ეკონომიკის- ,,თამაშის წესების'' გამოყენებით იჩენს ინიციატივას ,,ქვემოდან ზევით'', სადაც ასაბუთებს მუნიციპალიტეტის რამოდენიმე მიკროზონაში ხახვის კულტურის წარმოების კონკურენტული უპირატესობის შექმნის შესაძლებლობას. გამოყენებულ იქნა მრავალი ინდიკატორით მოკვლეულ-შეფასებული კოგნიტური ნიადაგობრივ-კლიმატური რუკები, სიტუაციური, სტატისტიკურ-ანალიტიკური, კონტექსტუალური ნაწილი. დადგენილი და შესწავლილია მიწის მფლობელები, ინფრასტრუქტურა, ძირითადი და საბრუნავი საშუალებების მდგომარეობა, ასევე ტრადიციული მიკროზონული სოფლები (ყოფილი ხახვის მეურნეობები) და კვალიფიციური სამუშაო ძალის მდგომარეობა. კონკრეტულ საზღვრებში დადგენილ ლოკაციებისთვის ცხადდება პროგრამის პირობები, რომელიც გაითვალისწინებს,

როგორც მასტიმულირებელ ასევე სისტემურ-სტრუქტურულ და ტექნიკურ-ეკონომიკურ ვალდებულებებს:

მოთხოვნები პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის:

1. მონაწილეთა საკუთრებაში არსებული მიწა უნდა შედიოდეს კონკურსში გამოცხადებული მიკროზონის ფარგლებში (მაგ. ბოლნისის რაიონის ჭაპალა-მამხუტის მიკროზონა კვლევებით დადგენილ საზღვრებში);
2. მართვის სტრუქტურული ფორმა კოოპერატივი. გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი მონაწილეობით საკითხი ეფექტურად მოგვარებადია;
3. წარმოებაში გამოყენებული იქნება მართვის თანამედროვე პრინციპები, ეკონომიკური რენტაბელობა და ინოვაციური, ინტეგრირებული ტექნოლოგია;
4. ოპტიმიზირებული მიწის საერთო ფართი არანაკლებ 120 ჰექტარი, ამასთანავე იზღუდება სახნავი მიწის მაქსიმალური ზღვარი-150 ჰექტარი;
5. კოოპერატივის საწარმოო საშუალებების მოდერნიზების პროგრამა;
6. ინკლუზიური ჩართულობის და დასაქმების პირობების წარმოდგენა;

პროექტის მნიშვნელოვანი სიახლე სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის ორ დონიანი მხარდაჭერაა, სადაც რეგიონის თვითმართველი ორგანოს შესაბამისი სტრუქტურები ქმნიან ,,ქვემოდან ზემოთ'' ინიციატივით მოქმედ პროგრამას. აქტიურობის დიაპაზონი და პროექტის კომპლექსურობა უნდა ქმნიდეს ცენტრისკენულ-ცენტრიდანული მოძრაობის სინერგიულ ეფექტს:

ცენტრისკენული ინიციატივები:

1. ბოლნისის რაიონის ლოკალურ მიკროზონებში თავთავიანი ხახვის წარმოება სტატისტიკურ-ანალიტიკურად შესწავლილ-გაანალიზებულია, შეფასებულია რესურსული შესაძლებლობები და დადგენილია კონკურენტული უპირატესობა;
2. ადგილებზე განხილულია სისტემურ-სტრუქტურული სპეციფიკები და წარმოდგენილია მოდელი, სადაც უპირატესი პირობაა მართვის ინკლუზიურობა, საწარმოო ოპტიმიზაცია, რაციონალიზმი და ინოვაციურობა;
3. განსაზღვრულია პროექტში მუნიციპალიტეტის როლი მართვაში და ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში მონაწილეობის არეალი. ჩამოყალიბებულია სახელმწიფო მასტიმულირებელი პოლიტიკის ჩართულობის მნიშვნელობა;
4. მოყვანის, შენახვის, ინოვაციური, ინტეგრირებული ტექნოლოგიური სქემა;
5. შექმნილია ბაზრის კვლევის მოდელ-პროგრამა, ეკონომიკური გაანგარიშება-

მიზანშეწონილობა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის სისტემა;

6. შემოთავაზებულია მართვა-მონიტორინგის და შეფასების სრულყოფილი მწყობრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროექტის შედეგს;

ცენტრიდანული მხარდაჭერა

1. იქმნება ახალი პროგრამა - ,,კონკურენტული ერთწლოვანი კულტურების წარმოების მხარდაჭერა'', რასაც წინ უსწრებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიციატივით ჩატარებული მიზნობრივი კვლევა-შეფასება და მთავარი პროგრამულ-სტრატეგიული მიზნის განსაზღვრა, რაც გამოიხატება კონკურენ-ტული უპირატესობების შექმნის და გამოყენების მხარდაჭერაში;

2. პროექტს აქვს როგორც სამთავრობო საგრანტო კომპონენტი (ძირითადი საშუალებების თანადაფინანსება), ასევე საბანკო შეღავათიანი კრედიტით სარგებლობის საშუალება და სალიზინგო სპეციალური შემოთავაზებანი;

3. ქართული პროდუქციის დაცვის და პოპულარიზაციის სრულიად ახალი ექსპერიმენტული მიდგომების თანმიმდევრული ეფექტური სისტემა, რომელიც ბრენდულ-მარკეტინგული საკითხების გარდა მოიცავს სურსათის ეროვნული სააგენტოს კონტროლი-მონიტორინგის ფუნქციის გაუმჯობესებას, მიკვლევადობის სისტემის თანამედროვე მოთხოვნებით აწყობას და სერთიფიცირებას, ასევე ანტიდემპინგური კანონმდებლობის სწრაფ და ეფექტურ ამოქმედებას;

პროგრამის მიზანი და ამოცანა:

1. სახელმწიფოს მხრიდან მიზანზე და შედეგზე ორიენტირებული ორ დონიანი მხარდაჭერა, პროტექციონიზმი ორმხრივი პასუხისმგებლობით;

2. რეგიონული ეკონომიკის პრინციპის მიხედვით აწყობილი მოდელი. კვლევები, ანალიზი, რესურსული შესაძლებლობები და უპირატესობანი;

3.ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის ახალ სისტემებზე გადასვლის აუცილებლობა და საწარმოო საშუალებების ოპტიმიზაციის მნიშვნელობა;

4. ინოვაციური ტექნოლოგიები და ხახვის მოყვანის ინტეგრირებული სქემა;

5. პროდუქციის ბრენდირება, მარკეტინგი და კონკურენციის გამოწვევები;

6. მოქმედების ინკლუზიურობა და სოფლის განვითარების თვალსაზრისით კოოპერატივის სისტემის მდგრადობა-ეფექტურობის მნიშვნელობა;

სტრატეგიული მიზნების შესრულებისის, დარგის კომპლექსური, ინტენსი-ური და ინკლუზიური განვითარების, ყველა მნიშვნელოვანი ეტაპის და პრო-

ცესის აღქმა-გააზრების, ეფექტური სამოქმედო მიზნობრივი პროგრამების შექმნის, ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის ურთიერთქმედების სინერგიული ეფექტის ჩართვის, შესაძლებლობების შესწავლის მოქნილი სისტემის, ინოვაციური, ინტეგრირებული ტექნოლოგიების დანერგვის, კონკურენტული უპირატესობის დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის მართვისთვის, კონვერგენციული პრინციპების გატარების და კიდევ მრავალი თემის, დეტალის შესასწავლად მიზანშეწონილად მიმაჩნია შევქმნათ ,,კოგნიტური რუკები, სადაც მოცემული იქნება ცოდნის, ინფორმაციული აღქმის, გააზრების, შეფასების, შემეცნების, მოქმედების, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის აკუმულირების და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების ყველა პირობა. კოგნიტური რუკა ეს იგივე ცოდნის ბანკია, რომლის მეშვეობით უნდა ხდებოდეს თანამედროვე პრობლემების გააზრება-გაანალიზება, მიზნების და ამოცანების შესრულების უზრუნველმყოფელი მოქმედებების დაგეგმვა, პოლიტიკის და სტრატეგიული გეგმების ჩამოყალიბება. პირველი საფეხური პროცესის გააზრებისთვის შემეცნებითი კოგნიტური რუკაა, რომელიც მოიცავს წარმოსახვის, აღქმის, აზროვნების და ამოცანის განსაზღვრა-შესრულების ფაზებს. აქ აქტიურად გამოსაყენებელია პიაჟეს თეორიის გარემოსთან ადაპტაციის ორი ბაზისური პრინციპი: ასიმილაცია - მანამდე არსებულ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული რეალობის ინტერპრირება და აკომოდაცია-ახალი გამოცდილების მორგების გზით მიღებული მოდელის სახეცვლილება. მნიშვნელოვანია მათ შორის ავტორისეული ბალანსის გამოყვანის თეორიაც, რომელიც ცნობილია ექვილიბრაციის სახელით. პროცესში განსაკუთრებულ ფასი აქვს სისტემურ-სტრუქტურული რეფორმირებას. მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების შეფასება, გაანალიზება და ქვეყნის რეგიონების სპეციფიკური პირობების გათვალისწინება, აკომოდაციის პრინციპების მეშვეობით მოქმედების ახალი მოდელის შემოთავაზება უაღრესად მნიშვნელოვანია დღევანდელ მოცემულობაში. კომპლექსურ-მულტისექტორული კოგნიტური რუკები დარგობრივ-რეგიონულ ჭრილში აგებულია ავტორისეულ ხედვაზე და ეფუძნება ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებს. მოქმედების საბაზისო რუკის გარდა ნაშრომში წარმოდგენილია - ,,ანალიტიკური, ორ დონიანი მასტიმულირებელ-მარეგულირებელი და კონკურენტული უპირატესობის ამსახველი მრავალფუნქციური რუკები.''

მეორე ქვეთავში განხილულია დარგის ინტენსიური განვითარების პირობებში რეგიონული ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის შეფასება კონკრეტული მიკროზონის მაგალითზე. თემა დღეს ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევად ითვლება, რაც არაერთგზის გაჟღერებულა, რადგან ეკონომიკის ინკლუზიურობა ან სოციალური კაპიტალიზმი სპეციალისტთა აზრით არის გამოსავალი თავიდან იქნას აცილებული მსოფლიო გლობალური სისტემურ-კონცეპტუალური კრახი. ინკლუზიური ზრდის ფილოსოფია არ არის ღარიბთა შემოსავლების გაზრდის ან მათზე ორიენტირებული პრიორიტეტულობის სისტემური მექანიზმების შემოთავაზება. დღევანდელ მოცემულობაში უდავოდ ყურადსაღებია მსოფლიო ბანკის მიერ შექმნილი მეთოდოლოგია, რომელიც შვიდი მიმართულებით განსახორციელებელი კვლევების კომპლექსური სისტემას მოიცავს.

მე-20 საუკუნის ეკონომიკურ თეორიაში მრავალი საინტერესო მოდელი და ტენდენცია განვითარდა. მიმდინარეობებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კეინზიანურ პოლიტიკას და ჩვენი ტიპის ქვეყნებისთვის საინტერესო ,,დიდი ბიძგის'' თეორიებს, რომლებიც ორი კონცეფციის -,,სიღარიბის მანკიერი წრის'' და ,,თვითუზრუნველმყოფელი ზრდის'' პრინციპების სინთეზს წარმოადგენს და პირდაპირ ეხმიანება ჩვენს წინაშე არსებულ გამოწვევებს:

1. ინკლუზიური განვითარება, სიღარიბის დაძლევა და კეთილდღეობა;
2. სახელმწიფოს მიზანმიმართული მასტიმულირებელი პოლიტიკა ეროვნული მეურნეობის იმ დარგებში, სადაც დგინდება მნიშვნელოვანი რესურსული შესაძლებლობები და მოსალოდნელი კონკურენტული უპირატესობანი;

დიდი ბიძგის პოლიტიკა გამოყენებულ იქნა კოლონიური მმართველობისგან თავსდაღწეულ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ქვეშ სრულიად გარდაქმნილ და მოდერნიზირებულ იქნა ეკონომიკის ის სექტორები, რომლებშიც იყო კონკურენტული უპირატესობების შექმნის პოტენციალი, რაც წინაპირობა გახდა ქვეყნის დინამიური და მდგრადი განვითარებისთვის. ნაშრომის მნიშვნელოვან სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ინკლუზიური ზრდის მეთოდოლოგიის პრინციპების ჩამოყალიბება, სადაც განვითარების კონცეპცია შემუშავდება ადგილებზე ცენტრისკენული მოქმედების პრინციპების გამოყენებით 6 (ექვსი) ზოგადი მახასიათებლით და 18 (თვრამეტი) ქვეკატეგორიით. მაჩვენებელთა სისტემა და კვლევა-შეფასებისთვის შესაბამისი ინდიკატორები:

1. სოფლის, თემის ან კონკრეტული მიკროზონის სტრატეგიული დაგეგმვა:

ა) ურბანული განვითარების დონე;

ბ) ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების შეფასება;

გ) კომუნალური - ტექნიკური მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები;

2. საჯაროობის, სამართლიანობის, თანასწორობის პროგრამული უზრუნველყოფა:

ა)სოციალური დაცულობის მდგომარეობის შეფასება. კრიტერიუმები, ანალიზი;

ბ)საჯარო მმართველობის პრინციპების სამოქმედო არიალი და მისი შეფასება;

გ)უთანასწორობის შემცირების მიზნობრივი პროგრამები;

დ)საზოგადოებრივ სიკეთეებზე და რესურსებზე თანაბარზომიერი წვდომა;

3. ეფექტური მმართველობის პრინციპები რესურსული და საინფორმაციო-ანალიტიკური კვლევები:

ა)კოგნიტური რუკების შედგენა და საზოგადოების ყველა ფენისთვის საჭირო ინფორმაციების დამუშავება-ხელმისაწვდომობა;

ბ)ინფრასტრუქტურულ და კომუნალურ სიკეთეებზე გამარტივებული წვდომა;

4. ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მზარდი ტენდენცია:

ა)ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობების გაჩენის მექანიზმების დანერგვა;

ბ)მატერიალური კეთილდღეობის მდგომარეობის შეფასება-ანალიზი; გ)სისტემურ-სტრუქტურული რეფორმები და ეკონომიკური ტრანსფორმაციები კონკრეტული ლოკაციის განვითარებისათვის

5. ეკონომიკის მდგრადი განვითარების მოქმედების ტენდენციის შეფასება:

ა)განვითარების მდგრადი პრინციპების დანერგვა და კეთილდღეობა ;

ბ)ინვესტიციების მოზიდვა ახალ ტექნოლოგიებში. გარემოს დაცვის თანამედროვე; სისტემების დანერგვა და ბუნებრივ რესურსების გამოყენების შემცირება;

6. ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების სტაბილურობა:

ა) ერთიანი მომავლისადმი ნდობის კრიტერიუმების განსაზღვრა-შეფასების სისტემა;

ბ)ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებების ეფექტურობის, თანმიმდევრულობის და დინამიურობის პროგნოზირების უნარის შეფასება;

გ) აქტიური საქმიანი პროცესის უზრუნველყოფა, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი საზოგადოების მიერ ინვესტირება საკუთარი მომავლის შექმნაში ;

დ) ეკონომიკური მდგრადობის და ინკლუზიურობის შენარჩუნების, ბუნებრივი კატაკლიზმების, ასევე გლობალური გამოწვევების და სტრესების პირობები;

დასკვნა

1. საქართველოს მთავრობას - ნაშრომში საკმაოდ ვრცლად და სიღრმისეულად არის განხილული ქვეყნის რეგიონალიზაციის პრობლემები. დასაბუთებულია მისი გამოყენების მნიშვნელობა როგორც მმართველობის, ასევე რეგიონული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით. ცენტრიდანული პოლიტიკა, რომელსაც სჭირდება ცენტრისკენული ინიციატივები და მათი სინერგიით მოტანილი რეალური საქმიანი ეფექტი, დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის პროცესის დაჩქარება. თვითმმართველობის გაძლიერება და მისი სრულფასოვანი ჩართვა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების საკითხში.

ფისკალური-სასწრაფოდ შესაცვლელია დღეს არსებული ადგილობრივი ბიუჯეტის აწყობის არამართებული, ტექნიკურ-ეკონომიკურად პრიმიტიული და თვითმმართველობის ფილოსოფიას აცდენილი მოდელი.

ქონებრივი - სახელმწიფოს ბალანსზე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი (გამონაკლისები დასაშვებია) მართვა-განკარგვის უფლებით გადაეცეს თვითმმართველობას დათქმული ვალდებულებებით.

უფლებრივი - ზემოთ აღნიშნული სამი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის პირობებში თვალშისაცემი გახდება რეგიონული ეკონომიკის პრინციპების ამოქმედების მნიშვნელობა და სწორედ აქ უნდა დახვდეს ცენტრიდანულ პოლიტიკას ადგილზე შემუშავებული ცენტრისკენული პოლიტიკა, რაც წინაპირობაა პროგრამული მოქმედების და მოდელირებული პროექტის წარმატებისთვის.

2. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - დარგის სტრატეგიულ განვითარებას სჭირდება პროცესის სახელმწიფოებრივი მართვა და დღევანდელ მოცემულობაში დაუშვებელია მოქმედებდეს პროტექციონისტული პოლიტიკა და ამავდროულად ლიბერალური მონიტორინგის მიდგომები, შესაბამისად ასამოქმედებელია შეფასების და ანალიზის მწყობრი სისტემა, სადაც აქტიურად უნდა ვითანამშრომლოთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ნაშრომში განსაზღვრულია მოქმედების მრავალი ფორმა და მეთოდი. (მიწის პოლიტიკიდან დაწყებული დამთავრებული ინკლუზიური ჩართულობით).

ახალი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია აღარ არის მხოლოდ დარგობრივი, მან შეიძინა რეგიონული ელემენტიც აქედან გამომდინარე ვთვლი ნაშრომში წარმოდგენილი სოფლის განვითარების კონცეფციების თემა აქტუალური ხდება ყველა ზემოდნახსენები მოქმედებების აღსრულების პარალელურად. სოფელ-თემებს უნდა ჰქონდეს განვითარების მიზნობრივ-პროგრამული კონცეფცია, სადაც დაწვრილებით აისახება შესაძლებ-ლობების და პრობლემების ყველა სპეციფიკური ნიუანსი, შეიქმნება სამოქმედო გეგმა სივრცითი განვითარებიდან დაწყებული მოსახლეობის ინკლუზიური ჩართულობით და ღირსეულად დასაქმებით დამთავრებული. ჩემი შემოთავაზება ეფუძნება ევროპულ გამოცდილებას და გააზრებულია რეგიონის სპეციფიკური თავისებურებების თვალსაზრისით. (ბოლნისის მუნიციპალიტეტი) მიწის მართვის პოლიტიკაში დღემდე აქტიურად არ მოქმედებს სახელმწიფოს აქტორი. ნაშრომში გაანალიზებულია ევროპული მიდგომები და გამოცდილება, შესაბამისად შემოთავაზებული ვარიანტი ითვალისწინებს მართვის პროცესში მეორე და მესამე დონის გაჩენას. მნიშვნელოვანი სიახლეა მუნიციპალიტეტებისთვის ბონიტეტის სისტემის აღდგენა და დიფერენცირებული გადასახადის შემოღება.

აგრო კულტურათა დარაიონების თანამედროვე მექანიზმების დანერგვა, ინოვაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობის განსაზღვრა და სტრუქტურული ოპტიმიზაცია. სწორედ ამ მიმართულებით, კომპლექსურად უნდა მოხდეს აგრარული სფეროს ინტენსიური განვითარება და მიზანშეწონილად მიმაჩნია ნაშრომში მოცემული მიდგომების გაზიარება, როდესაც ვქმნით ახალ სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შედეგზე იქნება ორიენტირებული. სხვა შემთხვევაში სამთავრობო პროტექციონიზმი ფულის დარიგება-გაფლანგვაა.

კონკურენტული უპირატესობების დადგენის, შეფასების და ხელშეწყობის მწყობრი სისტემა, სადაც ნაშრომში გამოკვეთილი ხუთივე მიმართულება (სახელმწიფო, დარგი ეკონომიკა, კომპანია, პროდუქტი) უნდა ქმნიდეს საკუთარ სამოქმედო მიზნობრივ სტრატეგიას, რომელიც ჩაშლილი იქნება ყველა წვრილმანით და მოდელირებული პროგრამის მეშვეობით შექმნილ სამოქმედო გეგმაში გათვალის-წინებული ყველა ნიუანსით. მიზნობრივი მოდელირებული პროგრამები უნდა აეწყოს წარმოდგენილი კოგნიტური რუკებით, რომელიც ითვალისწინებს საწყის ეტაპზე ,,ცოდნის ბანკის'' შექმნას, სადაც მოხდება ინფორმაციის შეგროვება-

გადამუშავება, აღქმა-შემეცნება, გააზრება-დაკვირვება, სიახლის და ინოვაციის გამოკვეთა. ინფორმაციების დამუშავების უზრუნველსაყოფად შექმნილი სამი ტიპის რუკა საშუალებას გვაძლევს სრულფასოვნად გავაანალიზოთ რეალური მოცემულობა და შევქმნათ მყარი საქმიანი ბაზისი მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული მოქმედებისთვის. დღევანდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ, სასურსათო კრიზისმა და მსოფლიო გამოწვევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ცნობილი თეზა: ,,იაზროვნე გლობალურად - იმოქმედე ადგილობრივად''. სწორედ კომპლექსური (სამივე დონის ჩართვა: მაკრო, მიკრო და მეზო) მიზნობრივი პროგრამების პრიორიტეტულობა იწევს წინა პლანზე, სადაც მოდელის აწყობისას ერთ-ერთი მთავარი აქტორი ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის სინერგიაა. შემოთავაზებული მოდელირებული პროგრამა, რომელიც ხახვის წარმოებას ეხება კლასიკური მაგალითია როგორი მოქმედებებით უნდა გაგრძელ-დეს დღეს დარგში პროტექციონისტული პოლიტიკა. ჩვენ შევედით პროცესის ისეთ ფაზაში, სადაც მოთხოვნადი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება მიზნობრივი პროგრამების განხორციელება. სწორედ აქ უნდა გავიაზროთ და შევაფასოთ განვლილი პერიოდის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც კომპლექსური და გამაერთიანებელია, ინოვაციური და შედეგზე ორიენტირებულია.

აქამდე მოქმედ შერჩევით-ფრაგმენტულ პროექტ-ინიციატივებს დროა ჩაენაცვლოს სისტემურ-სტრუქტურული და ტექნიკურ-ორგანიზაციული სრულ-ფასოვანი მიზნობრივი პროგრამა. მოდელში სქემატურად აგების პრინციპები და მართვის სამი პოლუსის ფუნქცია-მოვალეობა იკვეთება. მათთვის მოქმედების დიაპაზონის სწორედ განსაზღვრა და ინიციატივა ,,ქვემოდან ზევით'' მიდგომა გადამწყვეტია და ასრულებს მთავარი აქტორის როლს. (რეგიონული რგოლი წარმოადგენს პროექტის მიკროზონის სტატისტიკურ-ანალიტიკურ, სიტუაციურ-კონტექსტუალურ, ნიადაგობრივ-კლიმატურ კვლევა-ანალიზს, სისტემურ-სტრუქტურული და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების მართვის საკუთარ მოსაზრებას და მხოლოდ შემდეგ ცენტრი აცხადებს მიზნობრივ პროგრამას. მიკრო პროექტის მმართველ ორგანო ვალდებულია დანერგოს ინოვაციურ-ინტეგრირებული ტექნოლოგიები და მიაღწიოს რენტაბელობის მაღალ დონეს).

3. მუნიციპალიტეტებს - ნაშრომში შემოთავაზებული ახალი სამოქმედო მიზნობ-

რივ-პროგრამული პრინციპი ადგილობრივი დონეების ფუნქცია-მოვალეობების ტრანსფორმაციას ეხება. შემოთავაზებულ მოდელში მას მთავარი აქტორის როლი ეკისრება, რადგან ერთის მხრივ მიზნობრივი პროგრამებს სჭირდება ადგილობრივი მიკროზონული კვლევა-ანალიზი, ხოლო მეორეს მხრივ დაწყებულ პროექტს ხელშეწობა-მონიტორინგი, რომელსაც რაიონებზე უკეთ ცენტრი ვერ გააკეთებს. რთულ მექანიზმს გთავაზობთ კოგნიტური რუკების შედგენის სახით, თუმცა დროა გავაცნობიეროთ, რომ თვითმმართველობა ვერ დარჩება ,,სკვერების'' მოვლა-პატრონობის ფუნქციებში. ევროპული გამოცდილება ცალსახად გვაჩვენებს მის როლს და ფუნქციას სოციალურ-ეკონომიკირი განვითარების საქმეში. რეკომენ-დაციას უწევ მიწის მართვის პოლიტიკაში თვითმმართველობისათვის ახალი ფუნქციების განსაზღვრას და ბონიტეტის წარმოდგენილი სისტემის დანერგვას, სადაც დგინდება მიწის ხარისხი და შემოდის მასზე დიფერენცირებული გადასახადი. მნიშვნელოვანწილად გამოყოფილია ნაშრომში სტრუქტურული ოპტიმიზაციის და კულტურათა დარაიონების საკითხი, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის როლი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა-ხელშეწყობის საკითხში. ასევე სიახლეა ინკლუზიური ზრდის მეთოდოლოგიის დანერგვა, რადგან იგი იძლევა საშუალებას ინდიკატორების მეშვეობით სრულფა-სოვნად შევაფასოთ ეკონომიკურ სექტორები, განვსაზღვროთ ინკლუზიური ჩართულობის, დასაქმების, შესაძლებლობების განსაზღვრის, ეფექტური სივრცითი მოწყობის და რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრა-დაგეგმვა ადგილებზე.

რეგიონული ეკონომიკის პრინციპების ეფექტურად გამოყენება, ეკონომიკის ინკლუზიურობის შეფასება და პროგრამული უზრუნველყოფა, აგრარულ - სექტო-რული განვითარების პროგრამაში სისტემურ-სტრუქტურული რეფორმის მნიშვნელობის იდენტიფიცირება, მიწის პარცელაციის პრობლემის გადაწყვეტა ორ დონიანი მასტიმულირებელ მარეგულირებელი პროგრამული მოდელით, კონკუ-რენტუნარიანი პროდუქციის შექმნის რთული მრავალსაფეხურიანი სისტემის აწყობა, სადაც მთავარ შემკვრელად რეგიონული დონე გვევლინება, სოფლის განვითარების კონცეპტუალური მიდგომების მხარდაჭერა და მრავალი სხვა სიახლე ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს დარგში მართვის თანამედროვე მექანიზმების ამოქმედების და არსებული მიდგომების ტრანსფორმაციის აუცილებლობას.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

სტატიები:

1.,,რეგიონული ეკონომიკის როლი და შესაძლებლობები აგრარულ სექტორში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფაში.'' საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ეკონომიკა''. ტომი 104, 3-5 2021. თბილისი 2021 E-ISSN 2733-3361 60 DOI

2 ,,მიწის მართვის პოლიტიკის რეგიონული ასპექტები და თვითმმართველობის შესაძლებლობები''. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ეკონომიკა''. ტომი 104 3-5 2021. თბილისი 2021 E-ISSN 2733-3361 79 DOI

3. ,,სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ალტერნატიული ხედვა და სტრატეგია.'' ჟურნალი ,,აგრარული საქართველო''. N- 4. აგვისტო .2020 წ.

კონფერენციები:

1. პაატა კოღუაშვილი, გოჩა ცოფურაშვილი. (2019) ,,სოფლის განვითარების კონცეფციები ევროკავშირის ქვეყნებში''. სტუ-ს კონფერენცია - ,,გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები''.

2. პაატა კოღუაშვილი, გოჩა ცოფურაშვილი.(2021) ,,ინკლუზიური ეკონომიკა და მისი ზრდის შესაძლებლობები აგრარული დარგის და სოფლის განვითარებაში.'' სტუ- ს კონფერენცია ,,გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები.''

3. გოჩა ცოფურაშვილი (2022) ,,მიზნობრივი მოდელირებული პროგრამები და კოგნიტური რუკების შედგენის მნიშვნელობა რეგიონულ-დარგობრივ ჭრილში''. სტუ-ს კონფერენცია ,,გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები''.